ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება ხდება მისი თავდაპირველი აღიარების შემდგომ პერიოდში მომხდარი ერთი ან რამდენიმე მოვლენით („დანაკარგის მოვლენები“), რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფისგან მისაღები მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობაზე ან ვადებზე და შეიძლება ამის საიმედოდ განსაზღვრა, გამოწვეული გაუფასურების დანაკარგები აღიარდება მოგება-ზარალზე მათი მოხდენის პერიოდში. თუ კომპანია დაასკვნის, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის გაუფასურების მოხდენის ობიექტური მტკიცებულება, იქნება ეს მნიშვნელოვანი თუ არა, იგი შეიყვანს აღნიშნულ ფინანსურ აქტივს მსგავსი საკრედიტო რისკის მქონე აქტივების ჯგუფში და მოახდენს მათ ჯგუფურ ტესტირებას გაუფასურებაზე. ფინანსური აქტივის გაუფასურების შესამოწმებლად კომპანიის მიერ ძირითადად გამოყენებული ფაქტორები არის მისი ვადაგადაცილებულობის სტატუსი და მისი შესაბამისი უზრუნველყოფის, ასეთის არსებობის შემთხვევაში სანდოობა. ფინანსური აქტივის გაუფასურების შემოწმების სხვა ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს:

- დავალიანების გარკვეული ნაწილი ვადაგადაცილებულია და ვადაგადაცილება არ არის გამოწვეული გადახდის სისტემის დაყოვნებით. მეორე მხარე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, როგორც ეს ჩანს კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაციით;
- მეორე მხარე განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის ვარიანტს;
- სახეზეა მეორე მხარის მიერ გადახდების სტატუსის მნიშვნელოვანი გაუარესება ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებების შედეგად, რომელსაც გავლენა აქვს მეორე მხარეზე ან;
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის პირობების მნიშვნელოვანი გაუარესების შედეგად.

თუკი მოხდა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობების გადახვედა ან სხვაგვარად მოდიფიკაცია მეორე მხარის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება გამოითვლება პირობების ცვლილებამდე არსებული თავდაპირველი ფექტური საპროცენტო განაკვეთით.

3 მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

3.6 ფინანსური ინსტრუმენტები - ძირითადი შეფასების პირობები (გაგრძელება)

გაუფასურების დანაკარგი ყოველთვის აღიარდება სარეზერვო ანგარიშზე აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომელიც არ შეიცავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს, რომელიც ჯერ არ მომხდარა) აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებამდე ჩამოსაწერად. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების გამოთვლა მოიცავს უზრუნველყოფილი აქტივისგან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, გამოკლებული მისი მიღების და რეალიზაციის დანახარჯები, იმის მიუხედავად არის თუ არა უზრუნველყოფილი აქტივის მოსალოდნელი რეალიზაცია.

თუკი შემდგომ პერიოდში მოხდება გაუფასურების ზარალის შემცირება და ეს შემცირება შეიძლება საიმედოდ მიეკუთვნოს გაუფასურების ზარალის აღიარების შემდგომი პერიოდის მოვლენას (როგორიცაა დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალის გაუქმება მოხდება სარეზერვო ანგარიშის დაკორექტირებით წლის მოგება-ზარალზე.

უიმედო აქტივები ჩამოიწერება შესაბამის გაუფასურების დანაკარგის რეზერვის ანგარიშზე აქტივის აღდგენისათვის ყველა საჭირო პროცედურის დასრულების და დანაკარგის მოცულობის განსაზღვრის შემდეგ. წინა პერიოდში ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა დაკრედიტდება გაუფასურების დანაკარგის ანგარიშზე წლის მოგება-ზარალზე.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

3.7 მიღებული სესხები

მიღებული სესხები აღიარდება მათი ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. მიღებულ სესხებთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, რა პერიოდშიც ეს ხარჯები წარმოიშვა. მიღებული სესხები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

3.8 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მიღიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

3.9 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის ნებადართული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები (მათ შორის ცვლილებები საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში, და სხვ.) უნდა შევიდეს მხოლოდ კომპანიის პარტნიორთა გადაწყვეტილებით. ნებადართული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის საკუთარ კაპიტალში პარტნიორთა გადაწყვეტილებით.

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

დივიდენდები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

3 მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)**3.10 არაფინანსური აქტივების გაუფასურება**

აქტივების საბალანსო ღირებულება თითოეული სააგნარიშო პერიოდის ბოლოს მოწმდება გაუფასურებაზე და აქტივის გაუფასურების შემთხვევაში, ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი აქტივის გამოყენების ღირებულებასა და რეალიზაციის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალურად აქტივისთვის იმ შემთხვევაში თუ აქტივი წარმოქმნის ფულად სახსრებს სხვა აქტივისგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. ხოლო თუ აქტივი წარმოქმნის ფულად სახსრებს სხვა აქტივებთან ან აქტივთა ჯგუფთან ერთად, მაშინ ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება იმ ფულადი სახსრების წარმოქმნილი ერთეულისთვის, რომელზეც მიბმულია აქტივთა ჯგუფი.

3.11 ანარიცხები

თუ წარსული მოვლენების შედეგად, საანგარიშგებო თარიღის მომენტისთვის კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული) და სავარაუდოა, რომ კომპანია შეასრულებს მოვალეობას, მაშინ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხები. ანარიცხები ფასდება ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხით და დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე, გადასახდებამდე მოქმედი განაკვეთით, რაც ასახავს დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და გარკვეულ ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებს მიმდინარე საბაზრო პირობებით. შეფასებებში ცვლილება აისახება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, მათი დადგომის შესაბამისად.

3.12 უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

კომპანიის თითოეული ერთეულის საშუალო ვალუტა არის ის ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც საწარმო ფუნქციონირებს. კომპანიის საშუალო ვალუტა, ასევე კომპანიის წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა („ქართული ლარი“).

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის საშუალო ვალუტაში შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკუროს სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი, რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის საშუალო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად წლის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, აღიარდება მოგებაში, ან ზარალში როგორც ფინანსური შემოსავალი, ან ზარჯი. უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებული არაფულადი მუხლები, მათ შორის წილობრივი ინსტრუმენტი, გადაიანგარიშება იმ გაცვლითი კურსების მიხედვით, რომელიც არსებობდა მათი რეალური ღირებულებით შეფასების დროს. უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებულ არაფულად მუხლებზე გაცვლითი კურსის ცვლილებების ზეგავლენა აისახება როგორც რეალური ღირებულების შედეგად მიღებული შემოსულობის ან ზარალის ნაწილი.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების გადასანგარიშებლად გამოყენებული გაცვლითი კურსის ძირითადი განაკვეთებია:

	დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753

3.13 შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

თითოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით კომპანია ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცირებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებებს; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს; გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლის ან მომსახურების გაცემას მომხმარებელზე.

3 მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

3.13 შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება (გაგრძელება)

სახელმწიფო სუბსიდია

სახელმწიფოსაგან მიღებული სუბსიდია აღიარდება შემოსავლად იმ შემთხვევაში, როდესაც შესრულებულია სუბსიდიით და შესაბამისი ხელშერკულებით განსაზღვრული პირობები. თავდაპირველად სუბსიდიის სახით მიღებული თანხები აღიარდება ვალდებულების სახით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ხოლო, შესაბამისი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში შემოსავალი აღიარდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწვევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

3.14 პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ. კომპანიას ჰყავს როგორც შტატიანი ასევე შტატგარეშე თანამშრომლები, თუმცა მათი სახელფასო ხარჯები და შენატანები საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში არ განსხვავდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

3.15 მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98¹-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

3.16 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

ბასს 1-ის შესწორებები: „ვალდებულებების კლასიფიცირება მოკლევადიანად ან გრძელვადიანად“ და „გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტებით“

ეს შესწორებები ერთობლიობაში გავლენას ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე მოკლევადიანად ან კოვენანტების მქონე გრძელვადიან ვალდებულებად („გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტებით“), ასევე კომპანიის მიერ გამოშვებული კონვერტირებადი იმ სავალ ვალდებულებების კლასიფიკაციაზე, რომელსაც გააჩნია კონვერტაციის პირობა. ეს ცვლილება რეტროსპექტიულად არის გამოყენებული. ამ ცვლილების ამოქმედების შედეგად, 2023 წელს, გრძელვადიანად კლასიფიცირებულ კონვერტირებად სავალ ვალდებულებას მიენიჭა მოკლევადიანი ვალდებულების კლასიფიკაცია. ამ შესწორებებს არანაირი გავლენა არ მოუხდენია კომპანიის სესხებისა და ნასესხები სახსრების კლასიფიკაციაზე.

ბასს 7-ისა და ფასს 7-ის შესწორებები: „მომწოდებლების დაფინანსების შეთანხმებები“

ზემოაღნიშნული ცვლილება გავლენას არ ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, თუმცა, მან დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნება გამოიწვია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში კომპანიის მომწოდებლების დაფინანსების შეთანხმებების ხასიათის ასახსნელად.

3 მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

3.17 ახალი სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც გამოცემულია, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შემდეგი სტანდარტები და შესწორებები ჯერ არ არის ძალაში შესული, მაგრამ შეიძლება გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალში.

ფასს 9-ისა და ფასს 7-ის შესწორებები – ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნების შესწორებები

ეს შესწორებები ცვლის მოთხოვნებს იმის შესახებ, როდის შეიძლება შესწვედეს ფინანსური ვალდებულების აღიარება, თუკი ვალდებულება დაიფარა ელექტრონული გადახდების სისტემის მეშვეობით, ან როდის შეიძლება, რომ ფულადი ნაკადები მიჩნეული იყოს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდად და, მაშასადამე, შესაძლებელი გახდეს ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ კატეგორიად.

მართალია, კომპანიას ჯერ არ დაუსრულებია ზემოაღნიშნული ცვლილებების ზემოქმედების შედეგების შეფასება, მაგრამ ვგარაუდობთ, რომ ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის დროსთან დაკავშირებულმა ცვლილებებმა შეიძლება გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსურ ვალდებულებებზე, თუმცა, ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასთან დაკავშირებული ცვლილება გავლენას არ იქონიებს კომპანიაზე.

ამ ცვლილებების გამოყენება სავალდებულო იქნება 2026 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

ფასს 18 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები

ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს ბასს 1-ს – „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“. მართალია, ბევრი მოთხოვნა უცვლელი დარჩება, მაგრამ ახალი სტანდარტი მაინც გავლენას მოახდენს მოგებისა და ზარალის ანგარიშგების წარდგენაზე და, შესაბამისად, არაპირდაპირ გავლენას იქონიებს ფულადი ნაკადების ანგარიშგებაზეც. ამასთან, ახალი სტანდარტი მოითხოვს სუბიექტის საქმიანობის შედეგების

ამსახველი ისეთი მაჩვენებლების გამჟღავნებას, რომლებიც არ მოითხოვება ფასს სტანდარტებით, არამედ ხელმძღვანელობის მიერ არის განსაზღვრული, მაგრამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებასა და მის შენიშვნებში ასახული ინფორმაციის/მონაცემების აგრეგირებისა და დეაგრეგირების დონეზე.

ფასს 18 ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული პერიოდებისთვის და გამოიყენება რეტროსპექტიულად. კომპანია ამჟამად აფასებს, რა გავლენას იქონიებს ჯგუფზე ფასს 18-ის ამოქმედება.

დღეისათვის არ არსებობს სხვა ახალი სტანდარტი ან შესწორებები დოკუმენტი, რომელიც, სავარაუდოდ, არსებით გავლენას იქონიებს კომპანიაზე.

3.18 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაფარება და აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა თანხით მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის კანონიერი უფლება და არსებობს განზრახვა იმისა, რომ აღნიშნული თანხები ანაზღაურდეს წმინდა ღირებულებით ან მოხდეს აქტივების და ვალდებულებების ანაზღაურება ერთდროულად.

შემოსავლების და ხარჯების ურთიერთგადაფარვა არ ხდება, თუ ის არ მოითხოვება და ნებადართული არ არის ფასს-ის მიხედვით და არ არის თანდართული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასის-ის მიხედვით მენეჯმენტისგან სააღრიცხვო შეფასებებს და მსჯელობების გამოყენებას მოითხოვს, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე აისახება. სააღრიცხვო შეფასებები კეთდება ისტორიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, მათ შორის მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით მენეჯმენტის იმ მოლოდინების გათვალისწინებით, რომლებიც დასაბუთებული ჩანს არსებულ პირობებში. მსჯელობები, რომლებიც განსაკუთრებულად აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებები, რომლებმაც შესაძლოა აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება გამოიწვიოს მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში მოიცავს:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას მსგავსი აქტივების შეფასებასთან მიმართებაში. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი ითვალისწინებს სავარაუდო გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ გაუმართაობას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, სადაც ამ აქტივს უხდება მუშაობა. შეფასებებში ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს მომავალში ცვეთის ხარჯის კორექტირება.

ბ) არამატერიალური აქტივების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს არამატერიალური აქტივების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს არამატერიალური აქტივების გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

გ) ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება სამომავლო ვალდებულებებისთვის, როდესაც კომპანიას აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების საფუძველზე და სავარაუდოა, რომ კომპანიას მოეთხოვოს ამ ვალდებულებების შესრულება. ანარიცხები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ ვალდებულებად აღიარების კრიტერიუმებს, თანდართულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში როგორც პირობითი ვალდებულებები, რადგანაც, მათი არსებობა დადასტურდება მხოლოდ რომელიმე არასარწმუნო სამომავლო გარემოების დადგომისას, რომელიც მთლიანად არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს.

ინფორმაცია ნაგავსაყრელის დახურვის და შემდგომი დანახარჯების ანარიცხების აღრიცხვისთვის გამოყენებულ კრიტიკულ მსჯელობასთან დაკავშირებით მოცემულია მე-13 განმარტებით შენიშვნაში.

დ) გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირების საშუალებას. კომპანიის მენეჯმენტი აღიარებს ვალდებულებებს მოსალოდნელი დამატებითი საგადასახადო გაანგარიშებებისთვის საგადასახადო აუდიტის შეფასებების შედეგის საფუძველზე, არის თუ არა იმის ალბათობა, რომ კომპანიას დაეკისრება დამატებითი გადასახადები. როცა საბოლოო საგადასახადო შედეგები განსხვავდება თავდაპირველად აღრიცხული რაოდენობისგან, ეს სხვაობები გავლენას ახდენენ იმ პერიოდზე, როცა აღნიშნული განსაზღვრებები გაკეთდა.

ე) ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

5 შესადარისი ინფორმაცია

კომპანიის მენეჯმენტმა მოახდინა 2023 და 2022 წლების ფინანსური მონაცემების გადაანგარიშება, რათა უზრუნველყოს ანგარიშგების სიზუსტე და შესაბამისობა სტანდარტებთან. გადასინჯვამ მოიცვა ოპერაციებისა და შეფასებების გადახედვა, რაც აუცილებელი იყო აღმოჩენილი ხარვეზების გამოსასწორებლად. ცვლილებები წარმოდგენილია ანგარიშგებაში, დეტალურად ასახული მათი ზეგავლენის სრულყოფილად დასახაზად.

კომპანიის მენეჯმენტს 2021 წელს შესყიდული ძირითადი საშუალებები ასახული ჰქონდა ბალანსზე დღ-ის ჩათვლით ღირებულებით, რაც იწვევდა არასწორი ღირებულებით როგორც საგადასახადო აქტივის ასევე ძირითადი საშუალების წარდგენას ფინანსურ ანგარიშგებაში. მენეჯმენტმა აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებლად განაზოციელა შესაბამისი კორექტირებები რათა უზრუნველყოფო ფინანსური ანგარიშგების სიზუსტე და შესაბამისოფა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს).

2023 წლის 31 დეკემბერი	წინა პერიოდის მიხედვით	ცვლილება	გადაანგარიშებუ ლი
ძირითადი საშუალებები	23,457,770	(420,915)	23,036,855
წინასწარ გადახდილი გადასახადები	-	25,419	25,419
საერთო გავლენა მთლიან აქტივებზე	23,457,770	(395,495)	23,062,275
2023 წლის 1 იანვარი	წინა პერიოდის მიხედვით	ცვლილება	გადაანგარიშებუ ლი
ძირითადი საშუალებები	20,294,581	(474,225)	19,820,356
წინასწარ გადახდილი გადასახადები	2,079,499	527,536	2,607,035
საერთო გავლენა მთლიან აქტივებზე	22,374,080	53,311	22,427,391
2023 წლის 31 დეკემბერი	წინა პერიოდის მიხედვით	ცვლილება	გადაანგარიშებუ ლი
საგადასახადო ვალდებულება	502,117	(502,117)	-
საერთო გავლენა მთლიან ვალდებულებებზე	502,117	(502,117)	-
2023 წლის 31 დეკემბერი	წინა პერიოდის მიხედვით	ცვლილება	გადაანგარიშებუ ლი
აკუმულირებული მოგება (ზარალი)	82,789,161	(106,622)	82,682,539
საერთო გავლენა მთლიან კაპიტალზე	82,789,161	(106,622)	82,682,539
2023 წლის 1 იანვარი	წინა პერიოდის მიხედვით	ცვლილება	გადაანგარიშებუ ლი
აკუმულირებული მოგება (ზარალი)	68,422,820	(53,311)	68,369,509
საერთო გავლენა მთლიან კაპიტალზე	68,422,820	(53,311)	68,369,509
2023 წელი	წინა პერიოდის მიხედვით	ცვლილება	გადაანგარიშებუ ლი
ცვეთის ხარჯი	(3,503,356)	53,311	(3,450,045)
საერთო გავლენა სრული შემოსავლების ანგარიშგებაზე	(3,503,356)	53,311	(3,450,045)

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარებში

6 ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობა- ნაგებობა	დაუმთავრ. მშენებლობა	მძიმე ტექნიკა და სატრანსპორტო საშუალება	სხვა	სულ
(გადაანგარიშებული) ღირებულება 01.01.2023	16,865,773	9,792,842	185,218	17,627,825	941,420	45,413,078
დამატება	1,879,060	296,659	3,039,015	2,688,397	62,905	7,966,036
ჩამოწერა	(2,231)	-	(2,013,692)	(145,740)	(2,914)	(2,164,577)
(გადაანგარიშებული) ღირებულება 31.12.2023	18,742,602	10,089,501	1,210,541	20,170,482	1,001,411	51,214,537
დამატება	1,671,449	69,593	19,119,016	115,000	37,766	21,012,825
ჩამოწერა	-	(29,070)	(4,491,488)	(8,291)	(10,645)	(4,539,493)
ღირებულება 31.12.2024	20,414,051	10,130,024	15,838,069	20,277,191	1,028,533	67,687,869
(გადაანგარიშებული) აკუმ. ცვეთა 01.01.2023	(11,263,727)	(3,678,802)	-	(10,060,942)	(589,251)	(25,592,722)
პერიოდის ცვეთა	(322,085)	(592,221)	-	(1,644,141)	(82,719)	(2,641,166)
გასული აქტივის ცვეთა	2,231	-	-	51,062	2,914	56,207
(გადაანგარიშებული) აკუმ. ცვეთა 31.12.2023	(11,583,581)	(4,271,023)	-	(11,654,021)	(669,056)	(28,177,681)
პერიოდის ცვეთა	-	(579,216)	-	(1,672,335)	(76,598)	(2,328,149)
გასული აქტივის ცვეთა	-	15,172	-	8,291	10,645	34,107
აკუმ. ცვეთა 31.12.2024	(11,583,581)	(4,835,067)	-	(13,318,066)	(735,010)	(30,471,724)
საბალანსო ღირებულება						
01.01.2023 (გადაანგარიშებული)	5,602,046	6,114,040	185,218	7,566,883	352,169	19,820,356
31.12.2023 (გადაანგარიშებული)	7,159,020	5,818,477	1,210,540	8,516,459	332,354	23,036,855
31.12.2024	8,830,470	5,294,957	15,838,069	6,959,126	293,523	37,216,145

მიწის ნაკვეთების საბალანსო ღირებულება მოიცავს მიწის ნაკვეთებს, რომელიც განლაგებულია სხვადასხვა ადგილებში საქართველოს მასშტაბით და ძირითადი ნაწილი გამოყენებულია მყარი ნარჩენების პოლიგონად. აღნიშნული მიწები ძირითადად მიღებულია დამფუძნებლის მიერ კაპიტალში შენატანის სახით.

ნაგავსაყრელები კაპიტალში შეტანის მომენტიდან შეფასებულ იქნა შპს „ბიზნეს აუდიტის“ დამოუკიდებელი პროფესიონალი შემფასებლების მიერ. შეფასება გაკეთდა შეფასების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, აქტივების „ნორმატიული ფასის“ დადგენის მიზნით, რაც გულისხმობს, რომ ნაგავსაყრელების ღირებულება განსაზღვრულია იმ ნორმატიული ფასების მიხედვით, რომელიც ღვინდება ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მიერ.

7 გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსების ძირითად ნაწილს ნაგავსაყრელების პროექტების შესასრულებლად წინასწარ გადახდილი თანხები წარმოადგენს. აქვე შედის საკონსულტაციო მომსახურებისათვის გადახდილი ავანსებიც. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადახდილი ავანსები შეადგენს 20,426,810 ლარს (2023 წლის 31 დეკემბერი: 8,566,264 ლარი, 2023 წლის 1 იანვარი 4,540,968 ლარი).

8 სხვა აქტივები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა აქტივების ნაშთი შეადგენს 398 179 ლარს და წარმოადგენს საოპერაციო პროგრამას, რომელიც არ არის სრულად შესული ექსპლუატაციაში; 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 3,883,814 ლარი.

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარებში

9 წინასწარ გადახდილი გადასახადები/(საგადასახადო ვალდებულება)

	გადაანგარიშებული		გადაანგარიშებული
	31-დეკ-2024	31-დეკ-2023	1-იან-2023
გადახდილი დღგ	13,055,839	11,133,566	12,698,618
საშემოსავლო გადასახადი	(7,088,996)	(7,089,085)	(6,181,773)
მიწის გადასახადი	(2,268,441)	(2,268,639)	(2,280,142)
ქონების გადასახადი	(969,235)	(909,572)	(894,447)
გადასახდელი დღგ	(974,133)	(840,851)	(735,221)
სულ წინასწარ გადახდილი გადასახადი/(საგადასახადო ვალდებულება)	1,755,034	25,419	2,607,035

	გადაანგარიშებული		გადაანგარიშებული
	31-დეკ-2024	31-დეკ-2023	1-იან-2023
10 სასაქონლო მატერიალური მარაგები			
ნედლეული მასალა	932,282	627,330	1,060,168
საწვავ-საცხები მასალები	17,916	23,858	23,700
სპეცტანსაცმელი და აქსესუარები	17,236	14,032	-
სათადარიგო ნაწილები	5,929	3,263	191
სხვა	7,186	8,921	13,455
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	980,550	677,404	1,097,514

კომპანიის სასაქონლო მატერიალური მარაგები ძირითადად მოიცავს ნაგავსაყრელების მოვლა-მომსახურებისთვის გამიზნულ მასალებსა (მიწა და სხვა ინერტული მასალები) და სხვა მსგავს მარაგებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიერ აუცილებელი მომსახურებების განსახორციელებლად.

	გადაანგარიშებული		გადაანგარიშებული
	31-დეკ-2024	31-დეკ-2023	1-იან-2023
11 სავაჭრო მოთხოვნები			
მოთხოვნები გაწეული მომსახურებიდან	527,095	398,947	440,835
სხვა მოთხოვნები	3,248	3,313	2,344
საექვო მოთხოვნების ანარიცხები	(295,666)	(210,640)	(210,640)
სულ სავაჭრო მოთხოვნები	234,676	191,620	232,539
საექვო მოთხოვნების ანარიცხი			
2023 წლის 1 იანვარი (გადაანგარიშებული)			210,640
რეზერვის ხარჯი წლის განმავლობაში			-
2023 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)			210,640
რეზერვის ხარჯი წლის განმავლობაში			85,026
2024 წლის 31 დეკემბერი			295,666

	გადაანგარიშებული		გადაანგარიშებული
	31-დეკ-2024	31-დეკ-2023	1-იან-2023
12 ფული და ფულის ეკვივალენტები			
ლარები ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	7,026,715	11,102,331	11,597,059
ევროები ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	2,262,834	2,123,813	2,946,977
ფული კორპორატიულ კრედიტ-ბარათებზე	-	8,035	-
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	9,289,549	13,234,179	14,544,036

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია საიმედო ბანკებში, სადაც რაიმე არსებითი საკრედიტო რისკი ფულად სახსრებთან დაკავშირებით არ წარმოიშობა. კომპანიის ფულადი სახსრები არის იმ ბანკებში, რომლებიც Fitch-ის მიერ შეფასებულია, როგორც B-ის მქონე (მოკლევადიანი რეიტინგი), BB-ის მქონე (გრძელვადიანი რეიტინგი).

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარებში

13 მიღებული სესხები

	გადაანგარიშებული		გადაანგარიშებული
	31-დეკ-2024	31-დეკ-2023	1-იან-2023
გრძელვადიანი სესხი	13,577,222	10,980,703	5,507,240
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	2,193,837	2,777,994	755,260
სულ მიღებული სესხები	15,771,059	13,758,697	6,262,500

შემდეგი ცხრილი აჩვენებს მიღებული სესხების ნაშთის ცვლილებებს პერიოდის განმავლობაში:

	გადაანგარიშებული	
	2024	2023
მიღებული სესხების ნაშთი 1 იანვრისთვის	13,758,697	6,262,500
პერიოდის განმავლობაში მიღებული სესხები	12,232,623	15,834,829
დარიცხული პროცენტი	844,125	622,146
გადახდილი ძირი	(9,703,071)	(8,617,328)
გადახდილი პროცენტი	(752,556)	(570,803)
საკურსო სხვაობა	(608,759)	227,352
სულ მიღებული სესხები	15,771,059	13,758,697

ქვემოთ მოცემულია მიღებული სესხების დეტალური ცხრილი მიმღები ერთეულების მიხედვით:

	გადაანგარიშებული		გადაანგარიშებული
მიღებული სესხები	31-დეკ-2024	31-დეკ-2023	1-იან-2023
KfW Entwicklungsbank - კახეთი-სამეგრელო	8,062,235	5,979,771	4,542,352
EBRD - რუსთავი	-	199,664	577,766
EBRD - ქვემო ქართლი	7,708,824	7,579,262	1,142,382
სულ მიღებული სესხები	15,771,059	13,758,697	6,262,500

მიღებული სესხები შედგება შემდეგი სასესხო ხელშეკრულებებისგან:

- EBRD-ის სესხი გამოყოფილი რუსთავის ნაგავსაყრელის კეთილმოწყობისათვის.
- KfW-ს სესხი „ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტის“ ფარგლებში.
- EBRD-ის სესხი გამოყოფილი ქვემო ქართლის ნარჩენების მართვის პროექტის ფარგლებში.
- KfW-ს სესხი მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა II-ის (კახეთი და სამეგრელო-ზემო სვანეთი) ფარგლებში.

კომპანიას სესხები მიღებული აქვს საქართველოს მთავრობისგან ქვესასესხო ხელშეკრულებების საფუძველზე.

14 ნაგავსაყრელის დახურვისა და დახურვის შემდგომი დანახარჯების ანარიცხები და კაპიტალიზირებული ნაგავსაყრელის დახურვის ანარიცხი

კომპანია ნაგავსაყრელების საბოლოო დახურვისა და დახურვის შემდგომი ვალდებულებების სავარაუდო ღირებულებას ადგენს საოპერაციო სამსახურის თანამშრომლების, ინჟინრებისა და ბუღალტრების მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. შეფასებები ეფუძნება მენეჯმენტის ინტერპრეტაციებს მიმდინარე მოთხოვნებსა და მარეგულირებელ ცვლილებებზე და უახლოვდება რეალურ ღირებულებას.

კომპანიას აქვს გეგმა ძველი ნაგავსაყრელების დახურვის განრიგთან დაკავშირებით. ნაგავსაყრელის დახურვის ფაქტობრივი დრო შესაძლოა განსხვავდებოდეს ამ ფინანსური ანგარიშგების შედგენისას გაკეთებულ გაანგარიშებაში გამოყენებული მონაცემებისგან. დღევანდელი დახურვის ხარჯის მომავალი ღირებულების განსაზღვრის მიზნებისთვის ფინანსურ ანგარიშგებაში მენეჯმენტმა წარმოადგინა ძველი ნაგავსაყრელების დახურვის დანახარჯები და მათი დახურვის ვადები. გაანგარიშებებში გამოყენებულია 2024 წელი 14.42% (2023 14.33%)-იანი განაკვეთი ნაგავსაყრელების დახურვის დანახარჯების მომავალი გადახდების მიმდინარე ღირებულების დასადგენად. მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ საშუალოდ ნაგავსაყრელების ტერიტორიის 80% უნდა დაიფაროს საბოლოო ფენით, რადგან ნაგავსაყრელების ტერიტორიის 20% გამოიყენება მომსახურების მიზნებისათვის (მომსახურე პერსონალის შენობა, ავტოფარეხი, გზა ა.შ.).

14 ნაგავსაყრელის დახურვისა და დახურვის შემდგომი დანახარჯების ანარიცხები და კაპიტალიზირებული ნაგავსაყრელის დახურვის ანარიცხი (გაგრძელება)

ნაგავსაყრელს დახურვის შემდგომაც ესაჭიროება მონიტორინგი. დახურვის შემდგომი დანახარჯები გამოანგარიშებულია თითოეული ნაგავსაყრელისათვის ინდივიდუალურად, სავარაუდოდ 30 წლის განმავლობაში, ესაა პერიოდი დაახლოებით რამდენიცაა საჭირო ნაგავსაყრელის დახურვის შემდეგ მონიტორინგის განსახორციელებლად და განსაზღვრულია კომპანიის ტექნიკური დეპარტამენტის და კონსულტანტების მიერ. აღნიშნული დანახარჯების მიმდინარე ღირებულების გამოსაანგარიშებლად აღებულ იქნა 14.42% დისკონტირების განაკვეთი.

სხვა მნიშვნელოვანი დაშვებები, რომლებსაც ეფუძნება ნაგავსაყრელების დახურვის და შემდგომი მოვლის ვალდებულება, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, იყო შემდეგი:

- ნაგავსაყრელების დახურვისთვის და შემდგომი მოვლისთვის საჭირო მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მთლიანი არადისკონტირებული ოდენობა შეადგენს 20,259,365 ლარს. (2023 წელი: 21,505,460 ლარი);
- ანარიცხის ვადები განისაზღვრა ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე თუ როდის მოხდება ნაგავსაყრელის დახურვა კომპანიის მიერ.

მოძრაობა კაპიტალიზირებული ნაგავსაყრელის დახურვის ანარიცხში წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

კაპიტალიზირებული ნაგავსაყრელის დახურვის ანარიცხი

ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)	607,094
მოდიფიკაციის შედეგი	2,637,285
ამორტიზაცია	(808,878)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)	2,435,501
მოდიფიკაციის შედეგი	(15,073)
ამორტიზაცია	(510,608)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,909,820

მოძრაობა ნაგავსაყრელების დახურვის და დახურვის შემდგომი დანახარჯების ანარიცხებში წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

ნაგავსაყრელების დახურვის და დახურვის შემდგომი დანახარჯების ანარიცხები

2023 წლის 1 იანვრის (გადაანგარიშებული)	8,975,704
მოგება / (ზარალი) სხვა ფინანსური ოპერაციებიდან	(1,823,503)
დისკონტირების უკუგება	4,309,461
2023 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	11,461,662
ნაგავსაყრელის დახურვის ხარჯი	27,447
მოგება / (ზარალი) სხვა ფინანსური ოპერაციებიდან	1,390,004
დისკონტირების უკუგება	(2,353,727)
2024 წლის 31 დეკემბერი	10,525,386

2024 წელს დაიხურა დაბა თიანეთის ნაგავსაყრელი. დახურვის ანარიცხის არადისკონტირებული ღირებულება შეადგენდა 69,069 ლარს, ხოლო ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა 56,695 ლარი. სხვაობა 12,374 ლარის ოდენობით წარმოდგენილია, როგორც სხვა საერთო ხარჯი (შენიშვნა 26). 2023 წლის მანძილზე კომპანიას არ დაუხურავს არც ერთი ნაგავსაყრელი.

მოგება / (ზარალი) სხვა ფინანსური ოპერაციებიდან გულისხმობს სააღრიცხვო შეფასებების ცვლილების, კერძოდ, ნაგავსაყრელის დახურვის მოსალოდნელი ვადების ცვლილების, ეფექტს ნაგავსაყრელის დახურვისა და დახურვის შემდგომი დანახარჯების ანარიცხების გაანგარიშებაში. ცვლილება ნაგავსაყრელის დახურვის მოსალოდნელ ვადებში განხორციელდა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და შესაბამისად აისახა ფინანსურ ანგარიშგებაში.

2024 წელს მენეჯმენტმა გადასინჯა როგორც დახურვის ვადები ასევე დახურვისთვის საჭირო ხარჯები 1 კვ. მეტრზე დაგროვილი ფაქტობრივი მონაცემების და წარსულის გამოცდილების საფუძველზე, მოცემული მოდიფიკაციის შედეგად მოხდა კაპიტალური ნაგავსაყრელის დახურვის ანარიცხის შემცირება.

15 გადავადებული შემოსავალი

გადავადებული შემოსავალი წარმოადგენს სახელმწიფოსგან მიღებულ სუბსიდიას ცალკეული კაპიტალური პროექტების და მიმდინარე საოპერაციო ხარჯების დაფინანსების მიზნით. სახსრების მოძრაობა მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

	გადაანგარიშებული	
	2024	2023
გადავადებული შემოსავლის ნაშთი 1 იანვრისთვის	15,818,640	10,209,140
პერიოდის განმავლობაში მიღებული სუბსიდია	30,078,248	26,445,114
შემოსავალში აღიარება პერიოდის ხარჯების პროპორციულად	(21,532,095)	(20,835,614)
სულ გადავადებული შემოსავალი	24,364,794	15,818,640

მიღებული სუბსიდია, რომელიც მოხმარდა საოპერაციოს ხარჯების დაფინანსებას, სრული შემოსავლების ანგარიშგებაში შემოსავლად აღიარდა იმ პერიოდში, როდესაც გაიწია ხარჯი.

	გადაანგარიშებული		
	31-დეკ-2024	31-დეკ-2023	1-იან-2023
16 სავაჭრო ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	1,693,267	1,224,647	3,136,431
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	-	274	12,771
სულ სავაჭრო ვალდებულებები	1,693,267	1,224,921	3,149,202

სავაჭრო ვალდებულებები მეტწილად მოიცავს საკონსულტაციო მომსახურებისთვის გადასახდელ თანხებს.

17 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის დამფუძნებლის მიერ (სახელმწიფო, წარმოდგენილი ინფრასტრუქტურის სამინისტროთი) და ფორმირებულია როგორც ფულადი სახის ასევე არაფულადი აქტივის სახით შენატანით. კომპანიის კაპიტალი 2024 წელს გაიზარდა 1,671,448 ლარით. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალი შეადგენს 89,286,273 ლარს (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 87,614,825 ლარი, 2023 წლის 1 იანვარის მდგომარეობით: 85,666,996 ლარი).

სხვა რეზერვები და დაფინანსება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,595,644 ლარს (2023 წლის 31 დეკემბერი: 1,428,823 ლარი, 2023 წლის 1 იანვარი 1,523,356 ლარი) ანგარიშგების პერიოდში სხვა რეზერვები და დაფინანსება მოიცავს სახელმწიფოს მიერ პირდაპირ მომწოდებლებისთვის გადარიცხულ გრანტის სახსრებს, რაც მიზნად ისახავს აქტივების მიწოდებას შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ საკუთრებაში.

კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალის მართვის ამოცანებია უზრუნველყოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირება, რათა მფლობელმა მიიღოს უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი, და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შემცირდეს კაპიტალური ხარჯები. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების, ან კორექტირების მიზნით, კომპანიამ შესაძლოა მოახდინოს აქციონერებისათვის გადასახდელი დივიდენდების ოდენობის კორექტირება, დაუბრუნოს აქციონერებს კაპიტალი, გამოუშვას ახალი აქციები, ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად. კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა მიმდინარე წლის განმავლობაში. კომპანია არ ექვემდებარება გარეშე სუბიექტის მოთხოვნებს კაპიტალზე.

18 შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანია მომსახურებას უწევს იურიდიულ პირებს, რომელთა შემოსავალიც 2024 წლის განმავლობაში შეადგენს 740,427 ლარს (2023 წელი: 586,799 ლარი).

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარებში

გადაანგარიშებული

19 სხვა შემოსავალი	2024	2023
შემოსავალი სუბსიდიებისგან	30,290,199	20,835,615
შემოსავალი დაფინანსებისგან	613,629	862,465
სხვა შემოსავალი	25,696	32,870
სულ სხვა შემოსავალი	30,929,524	21,730,950

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანია მომსახურებას უწევს ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს უსასყიდლოდ, რისთვისაც სუბსიდიას იღებს დამფუძნებლისგან, სახელმწიფოსგან, რაც წარმოდგენილია სუბსიდიისგან მიღებული შემოსავლის სახით.

ნაგავსაყრელების მოწყობის პროექტების ფარგლებში გასაწევი დანახარჯების (ინტეგრირებული მართვის პროექტი) უზრუნველსაყოფად კომპანია გრანტის სახით იღებს დაფინანსებას, რაც წარმოდგენილია დაფინანსებისგან მიღებული შემოსავლის სახით. 2024, 2023 განმავლობაში დაფინანსებიდან მიღებული შემოსავალი ძირითადად წარმოადგენს KfW Entwicklungsbank-ის მიერ „ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტისა“ და „მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა II-ის (კახეთი და სამეგრელო-ზემო სვანეთი)“ ფარგლებში კომპანიის კონსულტანტებისთვის (FICHTNER) გადარიცხულ თანხებს. დაკავშირებული დანახარჯების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ მე-20 განმარტებითი შენიშვნაში.

გადაანგარიშებული

20 ხელფასები	2024	2023
შრომის ანაზღაურება	7,482,885	6,738,488
პრემია	487,473	491,250
საპენსიო ფონდი	115,499	99,991
სულ ხელფასები	8,085,856	7,329,729

გადაანგარიშებული

21 დიზაინის და საკონსულტაციო ხარჯები	2024	2023
საკონსულტაციო ხარჯი ინტეგრირებული მართვის პროექტის ფარგლებში	622,024	233,587
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	363,055	511,603
სულ დიზაინის და საკონსულტაციო ხარჯები	985,080	745,190

საკონსულტაციო ხარჯი ინტეგრირებული მართვის პროექტის ფარგლებში ძირითადად შედგება არარეზიდენტი კომპანიის მიერ გაწეული მომსახურების ხარჯისგან, კერძოდ: FICHTNER-ის მიერ.

FICHTNER-ის მომსახურების, ხელშეკრულება გაფორმდა 2019 წლის 2 სექტემბერს, საქართველოს შერჩეულ რეგიონებში „მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა II-ის (კახეთი და სამეგრელო-ზემო სვანეთი)“ ფარგლებში. საკონსულტაციო მომსახურება ასევე ფინანსდება გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) მიერ, ბანკსა და საქართველოს (საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრო) შორის 2017 წლის 2 ნოემბერს გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე. გრანტის მთლიანი მოცულობა შეადგენდა 2,000,000 ევროს.

ხელშეკრულების საფუძველზე, საკონსულტაციო მომსახურება მოიცავდა კახეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის განხორციელებას.

2024 წლის განმავლობაში FICHTNER-ის მიერ გაწეული საკონსულტაციო მომსახურების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 439,296 ლარი (2023 წელი: 510,283 ლარი).

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარებში

გადაანგარიშებული

22 ნაგავსაყრელების მოვლა-მომსახურების ხარჯები	2024	2023
ინერტული მასალების ხარჯი	1,384,388	1,567,043
მყარი ნარჩენების პოლიგონის კეთილმოწყობის ხარჯები	793,342	1,044,520
მძიმე ტექნიკის იჯარის ხარჯი	133,755	178,354
ნაგავსაყრელის ქიმიური ანალიზის ხარჯი	24,850	29,504
სხვა მოვლა-მომსახურების ხარჯი	37,168	36,780
სულ ნაგავსაყრელების მოვლა-მომსახურების ხარჯები	2,373,504	2,856,201

23 მძიმე ტექნიკისა და დანადგარების რემონტი, საწვავი და საპოხი

აღნიშნული ხარჯი მოიცავს სატრანპორტო საშუალებების ავტორემონტის ხარჯებს, საწვავის ხარჯებს, საპოხი მასალებისა და სათადარიგო მასალების ხარჯებს. 2024 წელს ხარჯმა შეადგინა 2,376,967 ლარს (2023 წელი: 2,306,060 ლარი).

გადაანგარიშებული

24 საგადასახადო ხარჯი	2024	2023
ქონების გადასახადი	244,788	185,125
მიწის გადასახადი	474,802	418,497
სულ საგადასახადო ხარჯი	719,590	603,622

25 ოფისის იჯარა

ხარჯი მოიცავს თბილისსა და რეგიონებში არსებული საოფისე ფართების მოკლევადიანი იჯარის ხარჯებს. 2024 წელს საიჯარო ხარჯი შეადგენდა 316,653 ლარს. (2023 წელი: 305,463 ლარი).

გადაანგარიშებული

26 კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯი	2024	2023
კომუნალური ხარჯი	83,594	85,573
კომუნიკაციის ხარჯი	84,227	91,162
სულ კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯი	167,821	176,735

27 სხვა საერთო ხარჯები

2024 წელს სხვა საერთო ხარჯი შეადგენს 165,375 ლარს. (2023 წელი: 19,317,983 ლარი; 2023 წელს სხვა საერთო ხარჯები მოიცავდა მუნიციპალიტეტებისთვის უსასყიდლოდ გადაცემული აქტივების ღირებულებას).

28 საპროცენტო შემოსავალი საბანკო დეპოზიტებიდან

კომპანიის საპროცენტო შემოსავლები საბანკო დეპოზიტებიდან მოიცავს თიბისი ბანკში საქართველოს ბანკში და ტერა ბანკში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებსა და დეპოზიტებზე დარიცხულ საპროცენტო სარგებელს 1,900,617 ლარის ოდენობით (2023 წელი: 1,333,949 ლარი).

გადაანგარიშებული

29 საპროცენტო ხარჯი	2024	2023
გრძელვადიანი სესხის საპროცენტო ხარჯი	844,125	622,146
ანარიცხების დისკონტირების უკუგება	1,643,409	1,672,177
სულ საპროცენტო ხარჯი	2,487,533	2,294,323

გადაანგარიშებული

30 კურსის ცვლილებით მიღებული მოგება / (ზარალი)	2024	2023
მიღებული სესხები	608,759	(251,084)
სავაჭრო ვალდებულებები	147,929	157,623
ფული და ფულის ეკვივალენტები	(32,601)	5,553
სულ კურსის ცვლილებით მიღებული მოგება / (ზარალი)	724,087	(87,908)

31 სხვა არასაოპერაციო ზარალი

2024 წელს სხვა არასაოპერაციო ზარჯი შეადგენს 0 ლარს. 2023 წელს სხვა არასაოპერაციო ზარჯი წარმოადგენს დაზიანებული ძირითადებული საშუალებების ჩამოწერით მიღებულ ზარჯს, ჯამური ღირებულებით 89,255 ლარს.

32 პირობითი ვალდებულებები**32.1 დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები**

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს სასამართლო გადაწყვეტილებებისა და დებულებების ხშირი ცვლილება. საგადასახადო ნორმები ხშირად ბუნდოვანი და წინაღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია კომპანიას დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული. ზემოხსენებული ვითარებები წარმოქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

32.2 გარემოსდაცვითი საკითხები

საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის საქმიანობა რეგულირდება სამართლებრივი მოთხოვნებით, რომლებიც გვხვდება სხვადასხვა კანონებსა და საკანონმდებლო აქტებში. საკანონმდებლო აქტების უმრავლესობა წინააღმდეგობაში მოდის არსებულ რეალობასთან. გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მომავალმა განვითარებამ შესაძლოა გამოიწვევს კომპანიის საქმიანობის უფრო მკაცრი რეგულირება და საჭირო გახდეს მეტი ინვესტიციის ჩადება გარემოს დაცვის ტექნოლოგიებში. ის ნაგავსაყრელები, რომლებსაც ფლობს კომპანია, შორსაა დამაკმაყოფილებელი მდგომარეობისგან და უფრო მკაცრი კანონმდებლობა სავარაუდოდ, გამოიწვევს მნიშვნელოვან ჯარიმებს ადგილობრივ გარემოზე ზემოქმედებისთვის. თუმცა, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ამ მხრივ არსებითი ჯარიმები არ არის მოსალოდნელი.

32.3 ნაგავსაყრელების დახურვის და დახურვის შემდგომი დანახარჯების ანარიცხები

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი ვალდებულებები, რომლებიც უკავშირდება ნაგავსაყრელების საბოლოო დახურვისა და დახურვის შემდგომ დანახარჯებს. კომპანიამ შექმნა ანარიცხები ამ ხარჯებთან დაკავშირებით. მარეგულირებელი ცვლილებები, რომლებიც მოსალოდნელია, რომ შემდგომ წლებში სწრაფად განვითარდება საქართველოში, დააჩქარებს ან გაზრდის ზემოაღნიშნულ ხარჯებს და კომპანიის ხარჯი ამჟამინდელ ანარიცხებთან შედარებით შესაძლოა არსებითად მეტი იყოს.

32.4 მიმდინარე სასამართლო დავები

კომპანიას საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით არ აქვს ისეთი სასამართლო დავები, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზარალი მიაციოს და აძლენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

33 ფინანსური რისკის მართვა

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ კონტრაგენტი ვერ შეძლებს გადაიხადოს მოღიანი დავალიანება ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს დავალიანების დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კომპანიას არ ექნება ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თაოსაზრისით;
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:

-საპროცენტო განაკვეთის რისკი

-სავალუტო რისკი

ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით, რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან აღნიშნული რისკები.

33.1 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე კომპანია დგება კრედიტით რეალიზაციის შედეგად.

საკრედიტო რისკი წარმოიშობება მაშინ, როდესაც კონტრაგენტები დგებიან ფინანსური პრობლემების წინაშე და ვერ ასრულებენ თავის ვალდებულებებს კომპანიისთვის ვალდებულებების დაბრუნებასთან დაკავშირებით. კომპანიას შეიძლება შეექმნას სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის შედეგადაც თავისი საქმიანობის წარმართვისას აღმოჩნდება შეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	გადაანგარიშებული გადაანგარიშებული		
	31-დეკ-2024	31-დეკ-2023	1-იან-2023
ფული და ფულის ეკვივალენტები	9,289,549	13,234,179	14,544,036
სავაჭრო მოთხოვნები	234,676	191,620	232,539
სულ ფინანსური აქტივები	9,524,225	13,425,799	14,776,575

ფინანსური აქტივები, რომელიც შესაძლებელია განისაზღვროს კომპანიის საკრედიტო რისკად, ძირითადად მოიცავს ფულსა და ფულის ეკვივალენტებს და სავაჭრო მოთხოვნებს, რომელთა საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას. ფულისა და ფულის ეკვივალენტების ბალანსი აღნიშნავს საბანკო ანგარიშზე არსებულ ნაშთს. კომპანია არ ფლობს უზრუნველყოფას მის მიერ მისაღები სავაჭრო მოთხოვნებისთვის. დებიტორულ დავალიანებებს კომპანია მართავს ვადაგადაცილების დღეების მიხედვით და ქმნის შესაბამის ანარიცხებს.

33.2 ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ეკვივალენტებს მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ლარებში

33 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

33.2 ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)

31.12.2024	1 წლამდე	1-დან 3 წლამდე	3-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო მოთხოვნები	234,676	-	-	-	234,676
ფული და ფულის ეკვივალენტები	9,289,549	-	-	-	9,289,549
სულ აქტივები	9,524,225	-	-	-	9,524,225
სავაჭრო ვალდებულებები	1,693,267	-	-	-	1,693,267
მიღებული სესხები	2,552,221	4,806,850	4,806,850	3,605,138	15,771,059
სულ ვალდებულებები	4,245,488	4,806,850	4,806,850	3,605,138	17,464,326
ლიკვიდურობის სხვაობა	5,278,737	(4,806,850)	(4,806,850)	(3,605,138)	(7,940,101)
წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა	5,278,737	471,887	(4,334,963)	(7,940,101)	
გადაანგარიშებული					
31.12.2023	1 წლამდე	1-დან 3 წლამდე	3-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო მოთხოვნები	191,620	-	-	-	191,620
ფული და ფულის ეკვივალენტები	13,234,179	-	-	-	13,234,179
სულ აქტივები	13,425,799	-	-	-	13,425,799
სავაჭრო ვალდებულებები	1,224,921	-	-	-	1,224,921
მიღებული სესხები	2,777,994	3,646,142	3,646,138	3,688,424	13,758,697
სულ ვალდებულებები	4,002,915	3,646,142	3,646,138	3,688,424	14,983,618
ლიკვიდურობის სხვაობა	9,422,884	(3,646,142)	(3,646,138)	(3,688,424)	(1,557,819)
წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა	9,422,884	5,776,742	2,130,605	(1,557,819)	
გადაანგარიშებული					
01.01.2023	1 წლამდე	1-დან 3 წლამდე	3-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო მოთხოვნები	232,539	-	-	-	232,539
ფული და ფულის ეკვივალენტები	14,544,036	-	-	-	14,544,036
სულ აქტივები	14,776,575	-	-	-	14,776,575
სავაჭრო ვალდებულებები	3,149,202	-	-	-	3,149,202
მიღებული სესხები	755,260	1,521,438	1,132,621	2,853,181	6,262,500
სულ ვალდებულებები	3,904,462	1,521,438	1,132,621	2,853,181	9,411,702
ლიკვიდურობის სხვაობა	10,872,113	(1,521,438)	(1,132,621)	(2,853,181)	5,364,873
წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა	10,872,113	9,350,675	8,218,054	5,364,873	

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარებში

33 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

33.3 სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულების კომპანიის ღონეზე მართვით.

31.12.2024	ლარი	დოლარი	ფუნტი	ევრო	სულ
სავაჭრო მოთხოვნები	234,676	-	-	-	234,676
ფული და ფულის ეკვივალენტები	7,026,715	-	-	2,262,834	9,289,549
სულ აქტივები	7,261,391	-	-	2,262,834	9,524,225
სავაჭრო ვალდებულებები	527,311	-	-	1,165,956	1,693,267
მიღებული სესხები	-	-	-	15,771,059	15,771,059
სულ ვალდებულებები	527,311	-	-	16,937,015	17,464,326
სავალუტო პოზიცია	6,734,080	-	-	(14,674,181)	(7,940,101)

გადაანგარიშებული

31.12.2023	ლარი	დოლარი	ფუნტი	ევრო	სულ
სავაჭრო მოთხოვნები	191,620	-	-	-	191,620
ფული და ფულის ეკვივალენტები	11,102,331	-	-	2,131,848	13,234,179
სულ აქტივები	11,293,951	-	-	2,131,848	13,425,799
სავაჭრო ვალდებულებები	449,399	-	-	775,522	1,224,921
მიღებული სესხები	-	-	-	13,758,697	13,758,697
სულ ვალდებულებები	449,399	-	-	14,534,219	14,983,618
სავალუტო პოზიცია	10,844,552	-	-	(12,402,371)	(1,557,819)

გადაანგარიშებული

01.01.2023	ლარი	დოლარი	ფუნტი	ევრო	სულ
სავაჭრო მოთხოვნები	232,539	-	-	-	232,539
ფული და ფულის ეკვივალენტები	11,597,059	-	-	2,946,977	14,544,036
სულ აქტივები	11,829,598	-	-	2,946,977	14,776,575
ვალდებულებები					
სავაჭრო ვალდებულებები	174,338	-	-	2,974,864	3,149,202
მიღებული სესხები	-	-	-	6,262,500	6,262,500
სულ ვალდებულებები	174,338	-	-	9,237,364	9,411,702
სავალუტო პოზიცია	11,655,260	-	-	(6,290,387)	5,364,873

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ლარის მიმართ უცხოური ვალუტის კურსში ცვლილებების ზეგავლენის ანალიზი კომპანიის სრული შემოსავლების ანგარიშგებაზე სხვა ცვლადების უცვლელობის დროს. უარყოფითი თანხები წარმოადგენს წმინდა შემცირებას სრული შემოსავლების ანგარიშგებაში ან კაპიტალში, დადებითი თანხები კი ასახავს წმინდა შესაძლო ზრდას. საბაზისო ვალუტა არის ლარი.

34 ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება (გაგრძელება)

ცხრილში მოყვანილი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები მიმდინარეა (გარდა მიღებული სესხებისა) და არცერთ მათგანს არ ახასიათებს რაიმე სახის ხანდაზმულობა. რაც შეეხება, მიღებულ სესხებს, კომპანიის მენეჯმენტი სესხების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ სესხების პირობები შეესაბამება არსებულ საბაზრო დიაპაზონს. შესაბამისად, კომპანიის მენეჯმენტი თვლის რომ ცხრილში მოყვანილი ანგარიშების სამართლიანი და საბალანსო ღირებულება ეთხვევა ერთმანეთს.

35 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24-ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს:

(ა) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

(ბ) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.

(გ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

(დ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

(ე) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

(ვ) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

(ზ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

	გადაანგარიშებული		
შემოსავალი	2024	2023	
დამფუძნებლისგან მიღებული სუბსიდია	30,078,248	26,445,114	
		გადაანგარიშებული	
ხელმძღვანელობის ანაზღაურება	2024	2023	
ხელფასი და პრემია	438,808	415,316	
		გადაანგარიშებული	
საპროცენტო ხარჯი	2024	2023	
დამფუძნებლისგან მიღებულ სესხზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	752,556	622,146	
		გადაანგარიშებული	
სხვა ხარჯები	2024	2023	
სხვა დაკავშირებული მხარეები	6,223	28,433	
		გადაანგარიშებული	
დაფარული სესხები	2024	2023	
დამფუძნებლისგან მიღებული სესხების დაფარვა	9,703,071	8,239,806	
		გადაანგარიშებული	გადაანგარიშებული
ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	31-დეკ-24	31-დეკ-23	31-დეკ-22
დამფუძნებლისგან მიღებული სესხები	15,771,059	13,752,811	6,256,615
გადავადებული შემოსავალი სახელმწიფო სუბსიდიისგან	24,364,794	15,518,640	10,209,141

36 საწარმოს უწყვეტობის განხილვა

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა საწარმოს უწყვეტობის პრინციპზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას კომპანიის ფუნქციონირების ნორმალურ პირობებში. საანგარიშგებო პერიოდების განმავლობაში კომპანიის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი ძალიან მცირეა იმისთვის, რომ უზრუნველყოს კომპანიის ფუნქციონირება. კომპანია მთლიანად დამოკიდებულია მთავრობის შენატანებზე. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ კომპანია ახლო მომავალშიც განაგრძობს თავის საქმიანობას სახელმწიფოს მხარდაჭერით, რადგან იგი ემსახურება მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ინტერესს, რომელიც მუდმივად უნდა გაგრძელდეს.

37 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

2025 წლის ორგანიზაციამ მიიღო საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსგან კვარტალური სუბსიდიები 24,186,189 ლარის ოდენობით.

სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება აისახოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მისი ხელმოწერის თარიღამდე არ მომხდარა.

მიმდინარე სასამართლო დავები

კომპანიას საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით სასამართლო დავა აქვს კომპანიებთან. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანიის საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღების ალბათობა ძალიან მცირეა. შესაბამისად, არ არსებობს იმის მოლოდინი, რომ კომპანიას მნიშვნელოვანი ზარალი მიაღებდა სარჩელ(ებ)ის გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

კომპანიის ოპერირების არეალში ექცევა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებული არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მართვა, გარდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეულ ტერიტორიებზე არსებული არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელებისა.

შესაბამისად, კომპანიის მომსახურების ბენეფიციარებს წარმოადგენენ მუნიციპალიტეტები (გარდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა) იურიდიული პირები და ფიზიკური პირები, რომლებიც თვითონ უზრუნველყოფენ ნაგავსაყრელებზე ნარჩენების შემოტანას.

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

და

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

შინაარსი

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ ისტორია, დამფუძნებლები და მმართველობა	3
შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ საქმიანობის აღწერა და ძირითადი მაჩვენებლები.....	3
კომპანიის განვითარების გეგმები.....	8
ფინანსური რისკის მართვა.....	10

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ ისტორია, დამფუძნებლები და მმართველობა

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ (კომპანია) რეგისტრირებულია საქართველოში, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის ბიზნეს მისამართი არის თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქუჩა #14 და იურიდიული მისამართია თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზირი #12. კომპანია დაფუძნდა 2012 წლის 24 აპრილს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის №1- 1/1045 ბრძანების საფუძველზე. კომპანიის 100% წილის მფლობელია სახელმწიფო, საქართველოს პრეზიდენტის №10/05/02 განკარგულების საფუძველზე, კომპანია 100%-იანი წილის მართვის უფლებით გადაეცა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს.

კომპანიის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს არსებული მუნიციპალური ნაგავსაყრელების ეტაპობრივი დახურვა და ახალი ევროსტანდარტების შესაბამისი არასახიფათო ნარჩენების განთავსების რეგიონული ობიექტების (ნაგავსაყრელების) მშენებლობა. კომპანია მართავს 54 არსებულ მუნიციპალურ ნაგავსაყრელს ქვეყნის მასშტაბით (ქ. თბილისისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარდა). მათ შორის 27 ნაგავსაყრელი მოქმედია, ხოლო 27 დახურული, ერთი ნაგავსაყრელის ფუნქციონირება შეჩერებულია, რადგან მიმდინარეობს დახურვის სამუშაოები.

კომპანიის, როგორც 100% წილის მფლობელი სახელმწიფო შპს-ს საქმიანობა არ წარმოადგენს მთლიანად კომერციულ ინტერესს, არამედ მიზნად ისახავს ემსახუროს საზოგადოებრივ ინტერესს. ფინანსური თვალსაზრისით ეს გულისხმობს, რომ მაშინაც კი, როდესაც კომპანია არ გამოიმუშავებს შემოსავალს და ზარალის მომტანია, სახელმწიფო გააგრძელებს მის მხარდაჭერას და შესაბამისად კომპანია გააგრძელებს საქმიანობას.

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ საქმიანობის აღწერა და ძირითადი მაჩვენებლები

როგორც უკვე აღინიშნა, კომპანიის პასუხისმგებლობას განეკუთვნება არსებული მუნიციპალური ნაგავსაყრელების კეთილმოწყობა, მართვა, დახურვა და დახურვის შემდგომი მოვლა, ასევე, ახალი არასახიფათო ნარჩენების რეგიონული განთავსების ობიექტებისა (ნაგავსაყრელი) და ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მშენებლობა, მართვა და სადგურებიდან ნარჩენების განთავსების ობიექტებამდე (ნაგავსაყრელებამდე) ნარჩენების ტრანსპორტირება. კომპანია საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ქალაქ თბილისისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარდა. მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე მყარი (საყოფაცხოვრებო) ნარჩენების შეგროვება და გატანა/ტრანსპორტირება არ განეკუთვნება კომპანიის პასუხისმგებლობას, საქართველოს კანონმდებლობის (ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი 05.02.2014) თანახმად აღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს მუნიციპალიტეტების ექსკლუზიურ უფლებამოსილებას.

კომპანიის ძირითადი კლიენტები არიან ადგილობრივი მუნიციპალიტეტები. ანგარიშების პერიოდში კომპანია მუნიციპალიტეტებს უსასყიდლოდ უწევდა მომსახურებას. კომპანიის კლიენტები ასევე არიან კერძო კომპანიები, რომლებსაც აქვთ საყოფაცხოვრებო ნარჩენები და სხვა წარმოშობის არასახიფათო ნარჩენები, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომპანია იღებდა შემოსავალს აღნიშნული კომპანიებიდან, თუმცა კერძო კომპანიებიდან მიღებული ნარჩენების მოცულობა და შესაბამისი შემოსავალი უმნიშვნელოა.

ანგარიშგების თარიღისათვის კომპანიის საკუთრებას წარმოადგენს 54 ნაგავსაყრელი, რომელთაგან ერთს რუსთავ/გარდაბანის ნაგავსაყრელს აქვს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, ასევე კომპანია მართავს ნარჩენების გადამტვირთავ 5 სადგურს. არსებული ნაგავსაყრელებიდან 27 ნაგავსაყრელი დახურულია, 27 კი მოქმედი, 1 ნაგავსაყრელზე მიმდინარეობს დახურვის სამუშაოები. კომპანია გეგმავს ეტაპობრივად დახუროს ყველა არსებული ნაგავსაყრელი 2030 წლამდე და მოაწყოს ახალი ევროპული სტანდარტების შესაბამისი არასახიფათო ნარჩენების განთავსების რეგიონული ობიექტები (ნაგავსაყრელები) და ნარჩენების გადამტვირთავი სადგურები. გარდა ამისა, კომპანიას საკუთრებაში აქვს 17 მიწის ნაკვეთი, სამომავლოდ ახალი ევროპული სტანდარტების შესაბამისი არასახიფათო ნარჩენების განთავსების რეგიონული ობიექტებისა (ნაგავსაყრელები) და ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მოსაწყობად.

2015 წლის 15 იანვრიდან ძალაშია საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ასოცირების შეთანხმებით (AA) გათვალისწინებული ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნებთან. კოდექსის მიზანია: გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა; ნარჩენების მართვის სფეროში სამართლებრივი საფუძვლების შექმნა; ნარჩენების წარმოქმნის და მისი უარყოფითი ზეგავლენის პრევენცია და შემცირება; ნარჩენების მართვის ეფექტიანი მექანიზმების შექმნა; ნარჩენის, როგორც რესურსის ეფექტიანი გამოყენების ხელშეწყობა. „ნარჩენების მართვის კოდექსიდან“ გამომდინარე, ქვეყანაში ნარჩენების მართვის საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის მიზნით შემუშავებული და მთავრობის მიერ დამტკიცებული იქნა 20-მდე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი. მათ შორის აღსანიშნავია მთავრობის N421 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტი „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვის და დახურვის შემდგომი მოვლის შესახებ“.

სტრატეგიული დოკუმენტებიდან აღსანიშნავია, ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგია და 2022-2026 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა. აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად დაგეგმილია არსებული არასახიფათო ნარჩენების მუნიციპალური ნაგავსაყრელების ეტაპობრივი დახურვა და ევროსტანდარტების შესაბამისი რეგიონული ნარჩენების განთავსების ობიექტების (ნაგავსაყრელების) მოწყობა.

გარდა ეროვნული კანონმდებლობისა, ნარჩენების მართვა რეგულირდება საერთაშორისო კონვენციებით, რომლის ხელშემკვრელ მხარესაც საქართველო წარმოადგენს. აღსანიშნავია ორჰუსის კონვენცია “გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხის შესახებ”.

კომპანიის გრძელვადიან ხედვას წარმოადგენს საქართველოს რეგიონებში მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის მაღალი სტანდარტების დანერგვა და ნარჩენების მართვის ერთიანი ინტეგრირებული მართვის სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა. აღნიშნული მიზნის მიღწევა, კომპანიის კომპეტენციის ფარგლებში მოიცავს: არსებული ნაგავსაყრელების მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მართვას, მათ ეტაპობრივ დახურვას და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი არასახიფათო ნარჩენების განთავსების რეგიონული ობიექტების (ნაგავსაყრელების) მოწყობას, მართვას, დახურვასა და დახურვის შემდგომ ღონისძიებებს. ასევე, ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მოწყობას. აღნიშნული საქმიანობა დაკავშირებულია ინვესტიციების განხორციელებასთან. ამ მიმართულებით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ საქმიანობა ითვალისწინებს, როგორც სახელმწიფო დაფინანსებას, ასევე საერთაშორისო დონორ

ორგანიზაციებთან და საფინანსო ინსტიტუტებთან მჭიდრო თანამშრომლობას და შესაბამისი დაფინანსების მოძიებას.

კომპანიის მართვაში არსებულ მუნიციპალურ ნაგავსაყრელებზე და ნარჩენების გადამტვირთავ სადგურებზე ხორციელდება მუნიციპალური (საყოფაცხოვრებო ნარჩენები, აგრეთვე სხვა ნარჩენები, რომლებიც თავიანთი მახასიათებლებითა და შემადგენლობით საყოფაცხოვრებო ნარჩენების მსგავსია) და ზოგიერთი სახის სტაბილური რეაქციის უუნარო სახიფათო ნარჩენების (მაგალითად აზბესტის ნარჩენების) მიღება. ნაგავსაყრელებზე არ მიიღება სახიფათო, რადიაციული, სამედიცინო და სხვა მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ნარჩენები. ამასთან, ნარჩენების შეტანა ხდება, როგორც მუნიციპალიტეტების, ასევე სხვა ცალკეული იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ.


მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მუნიციპალური ნარჩენების წარმომქმნელი, მოსახლეობის გარდა, უფლებამოსილია არ ისარგებლოს ნარჩენების შეგროვების მუნიციპალური სამსახურის მომსახურებით და მის მიერ წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენები შესაგროვებლად და დასამუშავებლად გადასცეს იმ პირს, რომელსაც ამ კოდექსის შესაბამისად მინიჭებული აქვს ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების უფლება. ამდენად აღნიშნული ნარჩენების წარმომქმნელებისგან ნარჩენები პირდაპირ მოდის ნაგავსაყრელზე და ისინი იხდიან ნარჩენების განთავსების დადგენილ საფასურს, ნარჩენის სახეობისა და წონის მიხედვით. იმ ნაგავსაყრელებზე სადაც არ არის დამონტაჟებული სასწორი, ნარჩენების რაოდენობის განსაზღვრა ხდება მოცულობის წონაში გადანაგარიშებით. არსებული მდგომარეობით, ამ ეტაპზე ტარიფები განსაზღვრული არ არის მუნიციპალიტეტებისთვის და კომპანიის ხარჯების სუბსიდირება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. გრძელვადიან პერსპექტივაში დაგეგმილია განთავსების მომსახურების საფასურის („ჭიშკრის გადასახადის“) შემუშავება, სადაც ნარჩენების ყველა შემომტანი, მათ შორის მუნიციპალიტეტი, გადაიხდის განთავსების საფასურს ნარჩენების წონის, მოცულობის, ტიპისა თუ შემადგენლობის მიხედვით.

როგორც აღინიშნა კომპანია მართავს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მქონე ქ. რუსთავის ნაგავსაყრელს, რომელიც აღჭურვილია ნარჩენების დამახარისხებელი საამქროთი. რადგან ნაგავსაყრელის რესურსი ამოიწურა და მისი გაფართოება ტექნიკურად შეუძლებელია, 2023 წლის 1 იანვრიდან რუსთავის ნაგავსაყრელის ოპერირება შეჩერებულია და მიმდინარეობს მისი დახურვის სამუშაოები, რომელთა დასრულებაც დაგეგმილია 2025 წელს. ქ. რუსთავისა და ქ. გარდაბნის ნარჩენები გადამისამართებულია თბილისის ნაგავსაყრელზე.

თავისი საქმიანობის განხორციელებისას კომპანიის მმართველობა ეფუძნება ვერტიკალურ ორგანიზაციულ სტრუქტურას, რომელსაც ხელმძღვანელობს დირექტორი. იგი განსაზღვრავს კომპანიის საქმიანობის ეკონომიკურ-ფინანსურ, პროგრამულ და ორგანიზაციულ-სტრუქტურულ მიმართულებებს და ახორციელებს კომპანიის მიმდინარე საქმიანობების ხელმძღვანელობას. დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი. კომპანიის დირექტორს ყავს 4 მოადგილე, რომლებიც კომპანიის საქმიანობის ცალკეულ მიმართულებებს უძღვებიან.

2024 კომპანიაში დასაქმებული იყო 517 თანამშრომელი, აქედან ცენტრალურ ოფისში - 60, გურიის შავი ზღვის სანაპირო ზოლში - 220, ხოლო დანარჩენ რეგიონებში - 237 თანამშრომელი. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ კომპანია გეგმავს გაზარდოს საქმიანობის განხორციელების ოპერაციები და მომავალში მოხდება პერსონალის რაოდენობის ზრდაც.

კომპანიის სტრუქტურა წარმოდგენილია ქვემოთ ორგანიგრამის სახით:



2024 წელს განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

მიმდინარეობდა მუნიციპალიტეტებში (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა) არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების რეაბილიტაცია-კეთილმოწყობა და ოპერირება, ასევე ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მართვა. ასევე, მიმდინარეობდა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ დაფინანსებული 2 პროექტი და 1 ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების კვლევა. აღნიშნული პროგრამები დაფინანსდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD), გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW), და შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) საკრედიტო და საგრანტო რესურსებიდან და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

2024 წელს განხორციელებული ღონისძიებების ჩამონათვალი:

- რეაბილიტირებულ-კეთილმოწყობილი ქ. ოზურგეთის, ქ. ქუთაისის, ქ. სამტრედიის, ქ. საგარეჯოს, ქ. ამბროლაურის, ქ. დუშეთის, ქ. გორის, ქ. მარნეულის, ქ. თერჯოლას, ქ. საჩხერეს, ქ. ჩოხატაურის, დ. ასპინძის, ქ. ხაშურის, ქ. ზუგდიდის, ქ. ლაგოდეხის, ქ. დედოფლისწყაროს, ქ. თელავის ნაგავსაყრელები;
- რეაბილიტირებულ-კეთილმოწყობილი ქ. ყვარელის ნარჩენების გადამტვირთავი სადგური;
- დახურული დ. თიანეთის ნაგავსაყრელი;
- დასრულდა ქ. ბოლნისის და ქ. ამბროლაურის ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- მიმდინარეობდა ქ. რუსთავის ნაგავსაყრელის დახურვის სამუშაოები;
- მიმდინარეობდა ქ. ამბროლაურის ნარჩენების გადამტვირთავი სადგურის მშენებლობის სამუშაოები;
- დაიწყო და მიმდინარეობდა ქ. ბოლნისის ნარჩენების გადამტვირთავი სადგურის მშენებლობა;
- ხელი მოეწერა ხელშეკრულებას 5 ერთეული კონტეინერმზიდი სატვირთო ავტომობილების შეძენაზე.
- სტანდარტების შესაბამისად, მიმდინარეობდა არსებული 27 ნაგავსაყრელის და 5 ნარჩენების გადამტვირთავი სადგურის ექსპლუატაციის სამუშაოები.
- ქვემო ქართლის მყარი ნარჩენების პროექტის ფარგლებში:
 - o მიმდინარეობდა ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მშენებლობა;
 - o გაფორმდა ხელშეკრულება ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის ტექნიკური აღჭურვილობის მიწოდებაზე.
- კახეთისა და სამეგრელო - ზემო სვანეთის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტის ფარგლებში:
 - o დასრულდა სამეგრელო-ზემო სვანეთის ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მშენებლობაზე ტენდერის შეფასების პროცედურები, გაფორმდა ხელშეკრულება და დაიწყო სამშენებლო სამუშაოები.
 - o გამოცხადდა ტენდერი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მშენებლობაზე და ფოთის არსებული ნაგავსაყრელის დახურვაზე.
 - o დასრულდა სამეგრელო-ზემო სვანეთის ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტისა და ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების ტექნიკური აღჭურვის სატენდერო პროცედურები და გაფორმდა ხელშეკრულებები ტენდერში

გამარჯვებულ კომპანიებთან

- ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტი:
 - ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან პროექტის მიუღებლობის გამო, მიმდინარეობდა ახალი საპროექტო ადგილმდებარეობის შერჩევა.
- ცენტრალური საქართველოს მყარი ნარჩენების პროექტის ფარგლებში:
 - ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების კვლევის ფარგლებში მიმდინარეობდა 2 ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის გარემოზე ზემოქმედების წინასწარი შეფასების ანგარიშის მომზადება;
 - ჩატარდა სამუშაო შეხვედრები დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით.

კომპანიის განვითარების გეგმები

თავისი ფუნქციების ჯეროვნად შესასრულებლად კომპანიამ შეიმუშავა კომპანიის სტრატეგია, რომელიც 2020 – 2025 წლებზეა გათვლილი და 2024 წლის სამოქმედო გეგმა. აღნიშნული გეგმების განხორციელებისათვის კომპანია დაფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მოიზიდავს დაფინანსებას საერთაშორისო ორგანიზაციებიდან.

2030 წლამდე ქვეყნის მასშტაბით დაგეგმილია არსებული მუნიციპალური ნაგავსაყრელების ეტაპობრივი დახურვა და 6 ახალი ევროსტანდარტების შესაბამისი არასახიფათო ნარჩენების განთავსების რეგიონული ობიექტების (ნაგავსაყრელების) და ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მოწყობა. კომპანიის მიმდინარე და დაგეგმილი რეგიონული ნაგავსაყრელის მშენებლობის პროექტებია:

არასახიფათო ნარჩენების განთავსების რეგიონული ობიექტები (ნაგავსაყრელები)	მშენებლობის სავარაუდო პერიოდი
იმერეთი და რაჭა–ლეჩხუმი ქვემო სვანეთი (1 ობიექტი)	2027 - 2028
ქვემო ქართლი (1 ობიექტი)	2023 - 2025
კახეთი (1 ობიექტი)	2027 – 2028
სამეგრელო და ზემო სვანეთი (1 ობიექტი)	2024 - 2026
შიდა ქართლი, მცხეთა–მთიანეთი და სამცხე–ჯავახეთი (2 ობიექტი)	2028 – 2029

ქვემოთ მოყვანილია კომპანიის სამომავლო საქმიანობის რამდენიმე ძირითადი მიმართულება:

საქართველოში მყარი ნარჩენების მართვა

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავება-უტილიზაცია მუნიციპალიტეტებში (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა). კომპანიის საკუთრებაში არსებული ნაგავსაყრელების გარემოზე, განსაკუთრებით ზედაპირულ წყლებზე, მიწისქვეშა წყლებზე, ნიადაგსა და ატმოსფერულ ჰაერზე (სათბური აირების ეფექტის ჩათვლით) და ადამიანის ჯანმრთელობაზე ნაგავსაყრელის თანმხლები უარყოფითი ზემოქმედების პრევენცია ან მაქსიმალურად

შემცირება. ნარჩენებისა და ნაგავსაყრელისთვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული საოპერაციო და ტექნიკური მოთხოვნების, ზომებისა და პროცედურების შესრულების უზრუნველყოფა ნარჩენების განთავსებიდან ნაგავსაყრელის სრული სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში ოპერირება, დახურვა და დახურვის შემდგომი მოვლა.

ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტი

პროექტი ითვალისწინებს მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის სისტემის დანერგვას იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში. პროექტით გათვალისწინებულია ქუთაისის მიმდებარედ ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მშენებლობა, ქუთაისის მოქმედი ძველი ნაგავსაყრელის დახურვა, ნარჩენების გადამტვირთავი 6 სადგურის მოწყობა და მუნიციპალიტეტების ნარჩენების შესაგროვებელი შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა.

ქვემო ქართლის მყარი ნარჩენების მართვის პროექტი

პროექტის აღწერა და მიზანი: ქვემო ქართლის ნარჩენების მართვის პროექტი გულისხმობს მყარი ნარჩენების მართვის გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო ინტეგრირებული სისტემის განვითარების ხელშეწყობას ქვემო ქართლის რეგიონში. პროექტის მიზანია ქვემო ქართლის ახალი არასახიფათო ნარჩენების რეგიონული განთავსების ობიექტის (ნაგავსაყრელი) მშენებლობა და აღჭურვა, რომელიც მოემსახურება ქვემო ქართლის 5 მუნიციპალიტეტს (წალკა, დმანისი, თეთრიწყარო, მარნეული, ბოლნისი). პროექტის საერთო ბიუჯეტი შეადგენს 14,1 მილიონ ევროს: (სესხი (EBRD): 10,3 მილიონი ევრო; კაპიტალური გრანტი (SIDA): 3 მილიონი ევრო; ტექნიკური დახმარების გრანტი: 1,1 მილიონი ევრო.

კახეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამა II

პროექტი მოიცავს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის (ნაგავსაყრელი) მშენებლობას, ნარჩენების გადამტვირთავი 2 სადგურის მოწყობას, მუნიციპალიტეტების დასუფთავებისთვის და ნარჩენების შეგროვებისთვის საჭირო ტექნიკით აღჭურვას და რეგიონული ნარჩენების განთავსების ობიექტის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ, რეგიონში არსებული 2 მუნიციპალური ნაგავსაყრელის სტანდარტების შესაბამისად დახურვას. პროექტის საერთო ბიუჯეტი შეადგენს 32 მილიონ ევროს: (სესხი (KfW): 30 მილიონი ევრო; გრანტი: 2 მილიონი ევრო.

ცენტრალური საქართველოს მყარი ნარჩენების პროექტი (შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, სამცხე-ჯავახეთი)

მიმდინარეობს საპროექტო რეგიონების ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა. პროექტი ითვალისწინებს რეგიონში ახალი, არასახიფათო ნარჩენების რეგიონული განთავსების ობიექტების (ნაგავსაყრელები) მშენებლობას. ასევე, დაგეგმილია გადამტვირთავი სადგურების მოწყობა, მუნიციპალიტეტების შესაბამისი ტექნიკით აღჭურვა, და რეგიონული ნაგავსაყრელების ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ, რეგიონში არსებული მუნიციპალური ნაგავსაყრელების სტანდარტების შესაბამისად დახურვა.

მიმდინარეობს ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების კვლევა, რომლის დასრულებაც დაგეგმილია 2025 წელს.

კომპანიის კომპეტენციის ფარგლებში, დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელებას ექნება მნიშვნელოვანი ეკონომიკური, გარემოსდაცვითი, სოციალური და ჯანმრთელობის სარგებელი. კერძოდ:

ევროდირექტივების შესაბამისად მოწყობილი ნარჩენების განთავსების ობიექტების (რეგიონული ნაგავსაყრელების) ოპერირება უზრუნველყოფს:

- არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტზე შემოსული მუნიციპალური ნარჩენების აღრიცხვას, კონტროლს, მონიტორინგს და უსაფრთხოდ განთავსებას;
- ზედაპირული და გამონაჟონი წყლების დაგეგმილ მართვას (შეგროვებას და გაწმენდას) და შესაბამისად, წყლისა და ნიადაგის დაბინძურების პრევენციას;
- სათბურის აირების ემისიების მართვას;
- ობიექტის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობაზე გარემოს დაბინძურებით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედების რისკის შემცირებას;
- მოსახლეობის დასაქმებას ნაგავსაყრელებისა და გადამტვირთავი სადგურების მართვის სისტემაში;
- უკონტროლოდ დაყრილი მუნიციპალური ნარჩენებით დაბინძურებული ტერიტორიების შემცირებას და შესაბამისად მოსახლეობისა და ტურისტებისათვის საცხოვრებელი და დასასვენებელი პირობების მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას.

პროექტის საერთო ბიუჯეტი შეადგენს 1,439,828.9 ევროს (გრანტი EBRD, KFW).

ფინანსური რისკის მართვა

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ კონტრაგენტი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი დავალიანება ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს დავალიანების დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კომპანიას არ ექნება ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით;

- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:

-საპროცენტო რისკი;

- სავალუტო რისკი.

ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით, რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან აღნიშნული რისკები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე კომპანია დგება კრედიტით რეალიზაციის შედეგად.

საკრედიტო რისკი წარმოიშობება მაშინ, როდესაც კონტრაგენტები დგებიან ფინანსური პრობლემების წინაშე და ვერ ასრულებენ თავის ვალდებულებებს კომპანიისთვის ვალდებულებების დაბრუნებასთან დაკავშირებით. კომპანიას შეიძლება შეექმნას სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის შედეგადაც თავისი საქმიანობის წარმართვისას აღმოჩნდება შეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	31-დეკ-2024	(გადაანგარიშებული) 31-დეკ-2023	(გადაანგარიშებული) 1-იან-2023
ფული და ფულის ეკვივალენტები	9,289,549	13,234,179	14,544,036
სავაჭრო მოთხოვნები	234,676	191,620	232,539
სულ ფინანსური აქტივები	9,524,225	13,425,799	14,776,575

ფინანსური აქტივები, რომელიც შესაძლებელია განისაზღვროს კომპანიის საკრედიტო რისკად, ძირითადად მოიცავს ფულსა და ფულის ეკვივალენტებს და სავაჭრო მოთხოვნებს, რომელთა საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების ბალანსი აღნიშნავს საბანკო ანგარიშზე არსებულ ნაშთს. კომპანია არ ფლობს უზრუნველყოფას მის მიერ მისაღები სავაჭრო მოთხოვნებისთვის. დებიტორულ დავალიანებებს კომპანია მართავს ვადაგადაცილების დღეების მიხედვით და ქმნის შესაბამის ანარიცხებს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

31.12.2024	1 წლამდე	1-დან-3 წლამდე	3-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო მოთხოვნები	234,676	-	-	-	234,676
ფული და ფულის ექვივალენტები	9,289,549	-	-	-	9,289,549
სულ აქტივები	9,524,225	-	-	-	9,524,225
ვალდებულებები					
სავაჭრო ვალდებულებები	1,693,267	-	-	-	1,693,267
მიღებული სესხები	2,552,221	4,806,850	4,806,850	3,605,138	15,771,059
სულ ვალდებულებები	4,245,488	4,806,850	4,806,850	3,605,138	17,464,326
ლიკვიდურობის სხვაობა	5,278,737	(4,806,850)	(4,806,850)	(3,605,138)	(8,357,250)
წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა	5,278,737	471,887	(4,334,963)	(7,940,101)	

31.12.2023 (გადაანგარიშებული)	1 წლამდე	1-დან-3 წლამდე	3-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო მოთხოვნები	191,620	-	-	-	191,620
ფული და ფულის ექვივალენტები	13,234,179	-	-	-	13,234,179
სულ აქტივები	13,425,799	-	-	-	13,425,799
ვალდებულებები					
სავაჭრო ვალდებულებები	1,224,921	-	-	-	1,224,921
მიღებული სესხები	2,777,994	3,646,142	3,646,138	3,688,424	13,758,697
სულ ვალდებულებები	4,002,915	3,646,142	3,646,138	3,688,424	14,983,618
ლიკვიდურობის სხვაობა	9,422,884	(3,646,142)	(3,646,138)	(3,688,424)	(1,557,819)
წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა	9,422,884	5,776,742	2,130,605	(1,557,819)	

01.01.2023 (გადაანგარიშებული)	1 წლამდე	1-დან-3 წლამდე	3-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო მოთხოვნები	232,539	-	-	-	232,539
ფული და ფულის ექვივალენტები	14,544,036	-	-	-	14,544,036
სულ აქტივები	14,776,575	-	-	-	14,776,575
ვალდებულებები					
სავაჭრო ვალდებულებები	3,149,202	-	-	-	3,149,202
მიღებული სესხები	755,260	1,521,438	1,132,621	2,853,181	6,262,500
სულ ვალდებულებები	3,904,462	1,521,438	1,132,621	2,853,181	9,411,702
ლიკვიდურობის სხვაობა	10,872,113	(1,521,438)	(1,132,621)	(2,853,181)	5,364,873
წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა	10,872,113	9,350,675	8,218,054	5,364,873	

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების კომპანიის დონეზე მართვით.

31.12.2024	ლარი	დოლარი	ფუნტი	ევრო	სულ
სავაჭრო მოთხოვნები	234,676	-	-	-	234,676
ფული და ფულის ექვივალენტები	7,026,715	-	-	2,262,834	9,289,549
სულ აქტივები	7,261,391	-	-	2,262,834	9,524,225
ვალდებულებები					
სავაჭრო ვალდებულებები	527,311	-	-	1,165,956	1,693,267
მიღებული სესხები	-	-	-	15,771,059	15,771,059
სულ ვალდებულებები	527,311	-	-	16,937,015	17,464,326
სავალუტო პოზიცია	6,734,080	-	-	(14,674,181)	(7,940,101)

31.12.2023 (გადაანგარიშებული)	ლარი	დოლარი	ფუნტი	ევრო	სულ
სავაჭრო მოთხოვნები	191,620	-	-	-	191,620
ფული და ფულის ექვივალენტები	11,102,331	-	-	2,131,848	13,234,179
სულ აქტივები	11,102,331	-	-	2,131,848	13,425,799
ვალდებულებები					
სავაჭრო ვალდებულებები	449,399	-	-	775,522	1,224,921
მიღებული სესხები	-	-	-	13,758,697	13,758,697
სულ ვალდებულებები	449,399	-	-	14,534,219	14,983,618
სავალუტო პოზიცია	10,652,923	-	-	(12,402,371)	(1,557,819)

01.01.2023 (გადაანგარიშებული)	ლარი	დოლარი	ფუნტი	ევრო	სულ
სავაჭრო მოთხოვნები	232,539	-	-	-	232,539
ფული და ფულის ექვივალენტები	11,597,059	-	-	2,946,977	14,544,036
სულ აქტივები	11,829,598	-	-	2,946,977	14,776,575
ვალდებულებები					
სავაჭრო ვალდებულებები	174,338	-	-	2,974,864	3,149,202
მიღებული სესხები	-	-	-	6,262,500	6,262,500
სულ ვალდებულებები	174,338	-	-	9,237,364	9,411,702
სავალუტო პოზიცია	11,655,260	-	-	(6,290,387)	5,364,873

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე. კომპანიას სასესხო ვალდებულებები აქვს ევროში და საპროცენტო განაკვეთები ძირითადად შემთხვევაში არის ცვალებადი (მიბმულია მაგალითად EURIBOR-ის ცვლილებაზე). კომპანიას არ აქვს საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის ფორმალური პოლიტიკა, თუმცა წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით საპროცენტო განაკვეთები მნიშვნელოვნად არ იცვლება, შესაბამისად რისკის დონე მინიმუმამდეა შეფასებული.

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ დირექტორის მოადგილე

ანდრია დვალა

ეკონომიკური მართვის დეპარტამენტის უფროსი

გიორგი პეტრიაშვილი

მთავარი ბუღალტერი

ლაშა კაპანაძე

თარიღი:

7 ივლისი 2025

01.01.2023 (გადაანგარიშებული)	ლარი	დოლარი	ფუნტი	ევრო	სულ
სავაჭრო მოთხოვნები	232,539	-	-	-	232,539
ფული და ფულის ექვივალენტები	11,597,059	-	-	2,946,977	14,544,036
სულ აქტივები	11,829,598	-	-	2,946,977	14,776,575
ვალდებულებები					
სავაჭრო ვალდებულებები	174,338	-	-	2,974,864	3,149,202
მიღებული სესხები	-	-	-	6,262,500	6,262,500
სულ ვალდებულებები	174,338	-	-	9,237,364	9,411,702
სავალუტო პოზიცია	11,655,260	-	-	(6,290,387)	5,364,873

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე. კომპანიას სასესხო ვალდებულებები აქვს ევროში და საპროცენტო განაკვეთები ძირითად შემთხვევაში არის ცვალებადი (მიბმულია მაგალითად EURIBOR-ის ცვლილებაზე). კომპანიას არ აქვს საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის ფორმალური პოლიტიკა, თუმცა წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით საპროცენტო განაკვეთები მნიშვნელოვნად არ იცვლება, შესაბამისად რისკის დონე მინიმუმამდეა შეფასებული.

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ დირექტორის მოადგილე

ანდრია დვალა

ეკონომიკური მართვის დეპარტამენტის უფროსი

გიორგი პეტრიაშვილი

მთავარი ბუღალტერი

ლაშა კაპანაძე

თარიღი:

7 ივლისი 2025